ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

14.07.2015 №129

თბილისი

სტუ-ს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ორი წევრით შევსების მიზნით არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2015 წლის 03 ივლისის №04.04.106/39 წერილის (რეგ. №76-01-1507 03.07.2015) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ორი წევრით შევსების მიზნით ჩატარდეს არჩევნები 2015 წლის 20 ივლისს, საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.
2. არჩევნებში მონაწილე მეცნიერ-თანამშრომელთა რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 10 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით, 10 საათიდან – 17 საათამდე (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა), ინსტიტუტის შენობაში.
3. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე